სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №195

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **22 ნოემბერი 2019 წ.**

ხელშეკრულების მხარეები:
შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" (ს/კ: 245426490; შემდგომში **,,შემსყიდველი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორი **მინდია კახიძე,**
ინდივიდუალური მეწარმე „უშანგი სეფერიძე" (ს/კ. 61006033314; შემდგომში **,,მიმწოდებელი"**) წარმოდგენილი **უშანგი სეფერიძე,**

ორთავე ერთად **,,მხარეები"**, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ/სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შემსყიდველი ორგანიზაციის" საკუთრებაში არსებული (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N3) ხელვაჩაურის ფილიალის შენობის სარემონტო/სამღებრო სამუშაოების ჩატარება/მომსახურების გაწევა (გარე ფასადის, სამზარეულოს და 2 საპირფარეშოს მოწყობა), ხელშეკრულებაზე თანდართულ №1დანართის შესაბამისად.
2.2 კლასიფიკატორის კოდი: **45400000**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2 999 (ორი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა) ხელშეკრულების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე **10 (ათი) სამუშაო** დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს **2019 წლის 20 დეკემბრის** ჩათვლით.

5.2. შემსყიდველის მიერ მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

6. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადა და გარანტია

6.1.მომსახურების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის საკუთრებაში მყოფი ხელვაჩაურის ფილიალი - მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N3.

6.2. მომსახურების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი) დღე.**

6.3. მომსახურების საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს გაწეული მომსახურეობიდან **2 (ორი) წელი.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია სამუშაოს მსვლელობასთან დაკავშირებით.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია**:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია**:

- მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) სარემონტო/სამღებრო სამუშაოების ჩატარებისას რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანი სრულად ანაზღაუროს.

გ) მიწოდებული მომსახურეის ნაკლის აღმოჩენისას, აღმოფხვრას ნაკლი გამოვლენიდან/შეტყობინებიდან **10 (ათი) დღის** ვადაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%**-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი” **საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490** **მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154** **ელ. ფოსტა:**batumi03@gmail.com **ტელ: (+0422) 25 87 03;** **მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“** **ბათუმის ფილიალი** **ბანკის კოდი: TBCBGE22** **ანგარიშის№ GE92TB4457736020100006**	ინდივიდუალური მეწარმე: უშანგი სეფერიძე **საიდენტიფიკაციო კოდი:**61006033314 **იურ. მის:** ხელვაჩაურისრაიონი, ს. მახო, 22-ე III ჩიხი,N3**ელ. ფოსტა:**dalidali1980@mail.ru **ტელ: (+995) 597 29 02 02;** **მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“** **ბათუმის ფილიალი** **ბანკის კოდი: TBCBGE22** **ანგარიშის№GE76TB7942945068100002**
" GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD Подписано цифровой подписью: " GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD Дата: 2019.11.22 15:42:26 +04'00'	
---	---
დირექტორი: **მინდია კახიძე**	**ი/მ:** **უშანგი სეფერიძე**

დანართი №1

№	სამუშაოების და საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	სულ	ღირებულება	
				ერთ. ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	დაზიანებული ბათქაშის ჩამოყრა სამზარეულოდან და გარე ფასადიდან	მ2	102	2,5	255
2	კედლების შებათქაშება	მ2	28	8	224
3	კედლების დაშპაკვლა ბეტეკით	მ2	102	10	1020
4	გრუნტის წასმა	მ2	130	1	130
6	კედლების შეღებვა	მ2	130	9	1170
7	კაფელი	მ2	1	15	15
8	კაფელის აკვრა	მ2	1	15	15
9	მეტლახი	კვ.მ	4	15	60
10	**მეტლახის დაგება**	კვ.მ	4	15	60
11	**სამშენებლო ნარჩენების გატანა**	კგ	100	0.50	50
	ჯამი				**2 999 ლარი**